

1882

1882

წელი 1882

No V, 1882.

— 1882 —

თბილისი

მ როგორიანცის და კომპ. სტამბა.

1882

## მაისის ფიგნის შინაარსი:

- I. საფუძვლები სახალხო გა-  
ნათლებისა . . . . . ნიკო ხიზანოვისა.
- II. სიტყვა და საქმე (დასასრული) . უბედისა.
- III. შური (ლექსი) . . . . . სანდროსი.
- IV. ჩემ შეილს (ლექსი) . . . . . გომრგისა.
- V. განთიადი (რომანი) (გაგრძელება) შაქრისი.
- VI. გულის-სწორს (ლექსი) . . . . . სანდროსი
- VII. კინტოობა «შრომაში» . . . სპ. ჭრელაშვილისა.
- VIII. «იმედის» კორრესპონდენცია  
(სოფელი ურიათუანი). . . . ურიათუანის გულშექა-  
ციკვარისა
- IX. შინაური მიმოხილვა (თავად-  
აზნაურთა ქრების თაობაზე) . წატალასი.
- X. უმთავრესი კორრექტურუ-  
ლი შეცდომილებანი. . . . კორრექტორისა

ე გ ძ ი

სალიტერატურო და საკოლეგიონო

ქურნალი

6 089

წელიწადი მეოდე

№ V, გაისი.



თბილისი

მდ. როვინიანების და კომპ. სცაძე.

1882



Дозволено цензурою 24 Мая 1882 года, Тифлисъ.

საფუძვლები სახალხო განათლებაზედ შეჯელობა

## I

რაც ჩვენ მწერლობა ში სახალხო განათლებაზედ შეჯელობა და ბაასი უოფილა, იმდენი არც ერთ საგანს წილად არ რგებდა. სწორედ რომ სახალხო განათლებაზედ ხმის ამოღება დროუბის უსაკუთროეს მოთხოვნილებათ, შეიქნა. ვისაც კი აღებთ — უმეცაცს თუ მეცნიერს — უკეთა. სცდილობს კეთილი სახელი და ტმამულის-მკილობას ამ საგანზედ ბაასით, დაიმსახუროს; ეს წმინდა საქმე, ჩვენში მოდათ გადაიწერა, ამ მოდის წინ უკუთხისი ხაწილი ჩვენა, საზოგადოებისა ტმელურობს, პრანქიალის, და სხვებს თავს აწანებს. ამ საზოგადობრივ მოვლენას ერთი კარგი და საქებარი მხარე აქვთ. ეს მოვლენა გვიჩვენებს, თუ რა გადას და სდგას ჩვენი საზოგადობრივ ზორი, რას. ელტეის ჩვენი ეროვნული გლობულია... სწავლის რომ ჩვენშია საზოგადოება. თამ გუმოიდვებიც მოივჰვნიდა, აქეთ იქით ცეკვა და-

იწყო და ბოლო ღრეს გაიღო, თუ რა უფრო საჭიროა ჩვენი განათლებისაოვის. მაგრამ ის კი ძრიელ სამწუხაოლ და მავნესელია, რომ ასეთი მძიმე და საფუძვლადასათ შესწავლის ღარსი კითხვა, როგორც სახალხო განათლებაა, საზოგადოების უმტკიცები ნაწილისთვის სასიმჟანო მასლათის საგნად გარდაიქცა და კეპლურობის ფერი და დო. ეს პირ-და-პირ გვიჩვენებს — თუ რა უღირსობა და უწესოებაა ჩვენ საზოგადოების აზროვნებაში. ხშირად შევხვდებით, რომ ერთსა და იმავე აღილას ერთი და იგივე შირი ათ ნაირათ შესცვლის თავის შსჯელობას სახალხო განათლებაზედ: პირველად ასე გრონიათ, ვითომც ჩვენში აზრების ბრძოლაა და სამდვილი წალილი ჭეშმარიტების ძებნისა და იმის შიღებისა. არა, თუ დინოვათ გასინჯეთ ეს საზოგადობრივი აზრის მოძრაობა, იმაში უთავ-ბოლო ლაპარაკის მეტი არა გამოჩენდება რა.

მეორე მოვლენა ჩვენ ცხოვრებაში სახალხო განათლების შესახებ მდგრადი იმაში, რომ უგელგან და უოველთვის გხედავთ ასრულ წოდებულს ეროვნულ თუ პატიოლოგიულ შესეღულობას. უგელა ჩვენგანი ერთსა და იმავეს ამტკიცებს: ხალხის განათლება ხალხის ენაზედ უნდა იყოსო. ამ საანბანო აზრის დასამტკიცებულად ბევრი მეტანი დაიღვარა, ბევრს გადამს მოსტუდა წევრი, მაგრამ ეხლაც თითო-ორობაშ ძლიერს გარევევით იციან საფუძვლები ამ ჭეშმარიტებისა. უმტკიცესი ნაწილისათვის ეს ჭეშმარიტება გაზეპირებულ უორმულათ შეიქნა, დოლმატათ გადაიქცა. თუ რა ისტორიული ანუ იურიდიკული საფუძვლები აქვს ამ დოლმატის, ამ ფორმულას — ამას არ დაეძებენ. ეს ვითომც საჭირო არ არის — ხომ ვიცით შეურევეველი და ძალ შემოსილი დოლმატი, მეტი რაღა საჭიროა! მკითხველისათვის ცხადი უნდა მუხს, რომ ამ დოლმატიურ შეხედუ-

ჭრამ დღა კინ მოიტანა ჩვენში. უკეთა ჩემიგანმა გაიზეპი-  
რა ჰემარიტება და საფუძვლების შესწავლას ვი უური არ უგ-  
დო. ამისთვისაც თოთონ ჰემარიტებამ ცხოვრებაში დაჭრანგა-  
თავისი გამაცოცხლებული ძალა და ის ნაყოფი არ მოგვიცა ჩვენ,  
რომელსაც მოველოდით. ამ რა კერძოა ნაყოფს მოიტანს ის  
ჰემარიტება, რომელიც ერთის მხრით კედლუციას მასალათ  
აქვს საზოგადოების უმეტეს ნაწილს მიღებული და, მეორეს  
მხრით ამ ჰემარიტებას უკურებს, როგორც დაღმატის და არა  
ისეთ ჰემარიტებას, რომლის გასაგებრად კერ საფუძვლები  
არაა ღრმად შესწავლის ღირსნი. თუ მართალია, რაც ზუმოთ  
კსოვით, ჩვენ ეხლა შინ და-შინ ამ საფუძვლების. განსილვას  
შეუძიებით.

## II

სახალხო განათლება ძველ მა ბერძნულ-რომაელმა ქვეყა-  
ნამ არ იცოდა და არც შეიძლებოდა, რომ სცოდნოდა. მკითხველი,  
რომელიც აღზრდილია იმ აზრში, რომ ძველი ათისა და  
რომი იყვნენ უმთავრესი წეარო გაცობრილის განათლებისა,  
ჩვენს აზრს გაიკირვებს. მკითხველს უთუთდ ისე ჭიანა, რომ  
სახალხო განათლება პირველად დაწყო დემოკრატიულ ათისაში  
და იქიდგან მერქ რესპუბლიკურ რომში. გადავიდა. შემდგრივ  
ბრძანდება, ჩემიც მკითხველი, სახალხო განათლება მხოლოდ  
მაშინ შეიძლება ცხოვრება მი დაარსდეს; როდესაც საზოგადობრიუ-  
ლი თუ სახელმწიფო ცხოვრება აშენებულია იმ სამირკელზედ,  
საცა სწავლის თავისუფლება უგელა წადებას აქვს მინიჭებული  
შრომის წასკვლა საჭირო არ არის. ავიღოთ ჩვენი ცხოვრება. სა

ხალხთ განათლება ჩვენში თან მოჰყევა ბატონ-უმობის მოსპობას. ბატონ-უმობაშ არ იცოდა შიროქნული თავისუფლება და ამის-თვისაც არც სახალხო სკოლა იცოდა. უკანასკნელი დაარსდა მაშინ, როდესაც შიროქნული თავისუფლება ცხოვრის განონათ შეიქნა. ამისთვისაც ისტორია გვიჩვენებს, რომ სახალხო განათლება მაშინ შეიძლება, როდესაც უვალა საზოგადოების წევრის შიროქნული თავისუფლება აქვა მინიჭებული და იმ თავისუფლებით სარგებლობის. თუ ერთს რომელიმე წლადებას სახელმწიფო მიზანი თუ საჯაში აქვს თავისუფლება და სხვა გზარი უიყდება, დანაშობის კი ქვემდებარების, მონობის და მოსახლების მეტი ხელში არა უჭირავს რა, მაშინ სახალხო განათლების გაჩენა ცხოვრებაში სრულებით შეუძლებელი საქმეა. როგორც ზემოთ ვსთვით, ბერძნეულ-რომაულმა ქვეყნამ არ იცოდა, რა იყო სახალხო განათლება, რადგან იმ ქვეყნას შიროქნული თავისუფლებისა სრულებით არა გაეგებოდა რა. მართალია, ბერძნენიც და რომაულიც გონიერით განვითარებულია იუგონ, საკუსი უოგოლ-გვარი განათლებით, მაგრამ საქმე იმაშია, რომ პეტ განათლებას არასტრონგისტიული ხარათი ჰქონდა, საზოგადო - წოდებრივი მიმართულება. პეტ ქვეყნაში არეთ წოდებული დაბალი ხალხი მოგლებული იყო ურველ-გვარ თავისუფლებას და სწავლა-განათლებას. მეორეც ესა, რომ პეტ ბერძნების თუ რომაულს გარემონით ესმოდა მარტოთ-მარტო შოლიტიდებური სახელმწიფოს თავისუფლება; ის ამ თავისუფლებას შეტა მაღლა აუქნებდა, მეტათ ძვირ-ფასად რაცხდა. ბერძნის თუ რომაულის-თვის საჭირო იყო მარტო ის, რომ იმას ნება ჰქონდა თავისუფლათ ეჭაპარავნა სახელმწიფო საქმეზედ და მონაწილეობა-მიეღო იმ საქმეებში. გარდა ცხოვრებაში თავისუფლებას ის საჭიროდ არა რაცხდა. ჩმას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ მაშინ-

დელი პოლიტიკური თავისუფლება ერთს ორმედსაშე და რაზ-დენსაშე წოდებას შეიცავდა და არა მთლათ ხალხს. უმრავლესი ნაწილი ხალხისა, დაბალი ხალხი მოყვებული იყო ორგორც პოლიტიკურ, ისე პიროვნეულ თავისუფლებას და წარმოადგინდა ერთს მრავალ-წევროვან წოდებას, რომელსაც ერთათ-ერთიდა უფლება ჰქონდა — მონება!

ორგორც ვსთვით, მკელმა შევიჩნამ პიროვნეული თავისუფლება არ იცოდა. პირი, პიროვნება მსხვერპლი იყო სახელმწიფო უფლებებები კერძო კაცი სცხოვრებლა იმისათვის, რომ ის საჭირო იყო სახელმწიფოსთვის, იმის მიზნების შესასრულებლათ. სახელმწიფოს გარეთ უგელა, დიდი თუ პატარა, გვაროვანი თუ უბრალო ჩამახვდობისა, თავის კერძო ცხოვრებაში, ნამდვილათ მონა იყო. ამ გვარი პოლიტიკა — სოციალური წერტილება არა თუ მარტო ცხოვრებაში იყო განსორციელებული, არა — მეცნიერება და ფილოსოფიაც იმას. ასწავლიდენ და ქაღაგებდნენ. იმ დროს, როდესაც ბერძნებმა და რომაელებმა გასაკვირვებათ შეიმუშავეს სახელმწიფო ცხოვრების უკეთესი წერტილებან, პიროვნეული თავისუფლებისა კი კერა გაიგის რა და დაბალი ხალხის მონება შეურევებელ ჭეშმარიტებათ აღვიარეს. არისტოკრატი ამტკიცებდა, რომ მონება საჭიროა და კანონიერი მიზეზი ამ საჭიროებისა კაცის ბუნების განსხვავებაშია!

თუ მკითხველი არ დაივიწეუბს იმ აზრს, რომ სახალხო განათლებისათვის საჭიროა პოლიტიკურ თავისუფლებასთან პიროვნეული თავისუფლებაც, მაშინ ადგილათ გაიგებს, რომ ის განათლება ეკრაპაში დაახსდა უკანასკნელ დროს, გერმანიაში რეზორმაციის შემდეგ, ჩვენში დაშრებით უგრო გვიან, თოვების ამ უკანასკნელს დროს, ბატონ-უმობის მოსპობის შემ-

დეგ. პირველად რეფორმაცია იყო მშობელი სახალხო სკოლის. მაგრამ სახალხო განათლების შესახებ რეფორმაციას უფრო ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. რეფორმაციისაგან დაწყობილი საქმე განაგრძელა კრიტიკულმა მეთვრამეტე საუკუნემ, რომელმაც თავიდგან ბოლომდისინ გადმოჰაბრუნა მკაფიო ცხოვრების საიუმცვლები, შეუბრალებლათ დაფუშა და შემუშა უწინდელო წესები და ცხოვრების წესილება; ფართო და მკვიდრი ადგილი მისცა კაცის პიროვნობას, სამუდამო უარ-ჟერ წოდებრული მიმართულება. მეთვრამეტე საუკუნის კრიტიკას სელში ეჭირა ხალხის და არა ერთი რომელიმე წოდების თავისუფლება, საზოგადობრივი და პიროვნელი თავისუფლება. პირ-და-პირი შედეგი ამ გვარი მიმართულებისა უნდა ყოვილი სახალხო განათლება და სწორედ არეც მოხდა. მეთვრამეტე საუკუნემ დაარსა სახალხო განათლება და იმას საზოგადო ქვეუნიური მიმართულება მისცა. წინათ, ამ კრიტიკულ მოძრაობაში, ეკროპაში სახალხო განათლებას, როგორც ძველ ბერძნულ-რომაულ ქვეყანაში, ჰქონდა წოდებრიული შიმართულება \*) როდესაც ეკროპას აზროვნობაში გამოიყვანია, რომ სასელმწიფო უნდა იყოს მთელი ხალხისთვის და არა რომელიმე წოდებისათვის, მაშინ ამ გამოვლენის შედეგათ აღმოსნდა სახალხო განათლება.

წინათ თეორეთიკულ შედაგობას ისეთი შიმართულება

\*) გამოჩენილი შეკვეთი, ერთი ლიმათ მცოდნე პირთაგანი ხალხის თვითმმართველობისა, სამს ნაირათ გაჰყოფს ხალხის განათლებას: საოცახო წულბილებას შეკვერის ფოზიკური აღზრდა, წოდებრიული—ხელოსნური, პროფესიონალური, სახელმწიფო—სახალხო:

ჭრისა, როგორიც ცხოვრებას შეეჩერებოდა — თეორია ნაბიჯით მისდევდა პრაკტიკას, ცხოვრებას. მეთვრამეტე საუკუნეში იყო, როდესაც გამოჩენილმა უან-უაკ რესსომ გასათარი სითამა-მით და შექმეტებულიბით სამუდამოთ დამარხა ძველი პედა-გოგური სისტემა, შეუპოვრათ და მკაფიოთ აჩვნა უკლას სახალხო განათლების საჭიროება. ერთხელ აღმრგვლი კითხვა ადარ შეჩერებულა ერთ წერტილზე რესსოდებან დაიწერ. ასაღი ხა-ნა აზროვნებისა.

თუ მკაფიები თანხმაა ჩვენთან ამასედ, უნდა დაგვეთანს-მოს, რომ სახალხო განათლებისათვის საჭიროა პიროვნეული და საზოგადო-პოლიტიკური თავისუფლება. მხოლოდ ამ გვარ თა-ვისუფლებამა შობა კვრობაში სახალხო განათლება და როდესაც-ის თავისუფლება არ იყო, მაშინ არც სახალხო განათლება ყო-ფილა. ამ მიზეზის გამო სადაც გონივრებათ უნდათ გამართვა სახალხო განათლებისა, იქ საფუძვლათ უნდა მიღილონ თავისუფ-ლება; რომელიც ჩვენ ვეჩენეთ, და ამ საფუძველზე დადგან შეგვიძლი და იყართო შეხობა, სადაც მოელონ ხალხის თუ ერთს, გრძება უნდა მოძრაობდეს. ამ აზრის სიმართლეს გარშტკიცებს, ისტორია და ისტორიულ კანონს ხომ გესად წაუკალთ.

### III

ეს უკასასთვის ცხადია. გერც ერთი მოწინააღმდეგი, თუ კი იმას გულ-წრთველობა ექნება, ამის უასის ვერ იტუვის-უკელას ხემათ თუ ასკარათ, სწამის ამ აზრის ჭეშმარიტება, უკე-ლა ბანაკის გაცს დღიდმატათ. მიჩნია ეს ჭეშმარიტებას შაგრამ უძელურება ეს არის, რომ უკელა ბანაკს თუ პარტიას თავისე-

ბურათ ესმის და მიაჩნია თავისუფლება, ეს თავისუფლება უნდა და საჭიროო მიაჩნია თავისთვის, — სსკებისათვის კი ენანება და შეცს. სამწუხაორო, აქედგანაც წარმოადგა ის პრინციპიალური კითხვის დამახინჯება, რომელმაც სახალხო განათლებაში გაიდგა ფისი. ერთხნი ამტკიციბენ, რომ უოკელივე წოდებას განათლების თავისუფლება უნდა ჰქონდეს, მეორენი — ამ გვარი თავისუფლება უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს, რომელიც კითომც ხალხის გონიერის მიუარყელი და შზრუნველია და ამ გონიერის მოძრაობის გამგებელი, მესამენი თხოვედ გიდებ, რომ საზოგადოთ ხალხს უნდა ჰქონდეს თავისუფლება განათლებისა და არა სახელმწიფოს ან რომელიმე წოდებას. ამ გვარ არეულს პრინციპიალურ კითხვას თავისი მიზეზი და საბუთები აქვს. იუ ღრუ (ეგროპაში, საშუალო საუკუნეებში) როდესაც საფსის (და არა სახალხო) განათლებას წოდებორიული მიმართულება ჰქონდა იმ ღრუს განათლება თითქმის მარტო მონასტრებში მოამოკებოდა და, არისტოკრატიული მონასტრობული ბეჭედი აკდა. იუ ერთი ღრუც (მეთერთმეტე საუკუნიდანას საფრანგეთის დიდ ავანენდებამდინ), როდესაც სახელმწიფოში ჩაედანა როგორც ცალბა კაცის შირვნება, ისე საზოგადო წოდებაზეც. მაშინ თავისუფლება მარტო სასელმწიფოს ქადაგში ჩედ ში. ამ გვარ სისტემას უწოდებენ პრილიციულ სახელმწიფოს სისტემათ. უკანასკნელათ, მეთვრამეტე საუკუნის ნასკვარს, თეოდესიკებულამ და იმავე საუკუნის დასასრულის საქმითაც დაიწყო ახალი შიმართულება განათლების მიმდინარეობაში, — ა გვარი სტრონიული გარემოებაა იმის მიზეზი, რომ ჯერაც გერ გამოურჩებათ გადაწყვეტილ და კერ დათანხმებულან — თუ რომ ტრა უნდა დაწყებოს სახალხო განათლება. უფრო უფრო პარტია თავის სტრონიულ ტრადიციას და უფლებას მისდევს, არა უნდა

ას შრაფლის თავის უფლებას. ზემოთ ნაჩვენები ისტორიული გარემოება არის მიზუზი, რომ ჭერაც ვერ არის საზოგადოւ აზო-ლათ მიღებული ის მარტივი ჭერადიტება, რომ სახალხო გა-სათლება უნდა იყოს თითონ საჯარისათვის და არა რომელიმე წოდებისთვის თუ პოლიტიკური პარტიისათვის; ან არა და— სასედმწიდეოს შინების შესასრულებლათ. რომელიმე «პარტიუ-ლი» შესედულობა სასალხო განათლებას ამასინვებს, ნამდვილ მიმართულებას უქარგავს; ასე არის ჩვენ დროს ევროპაში და წინათვა ასე უოუჩლა. აუ მოიპოვება მიზუზი, სხვათა-მორის, მმ მოვლენისა, რომ აქამიშვე დემოგრაფია ასე დაჩაგრულია ეგრძოში...

საკვირველია, უკელა ითხოვს სახალხო განათლების თავის-უფლებას, ისიც, რომელია სსვა შემთხვევაში თავისუფლება კონკრეტული მიაჩნია, და ისიც, რომელიც ქვეყნის სამოთხეს ამ თავისუფლებაში წილების. უკელა ითხოვს, მაგრამ უკელას კი პირველათ სახეში აქვს ასეთი თუ ისეთი წინათ-შედგენილი შე-ხედულობა, რომელიმე პოლიტიკური სისტემა, ისტორიული თუ პოლიტიკური ტრადიცია. ნამდვილი სახალხო განათლებისა კი არავის უნდა გაიგოს... თუ ეს ასე არ არის, მაში რისათვის შობდება ხოლმე, რომ რომელიმე დიპერაზი, მაგ. ავსტ-რიელი, უკირის — ნემეცურ სკოლაში თავისუფლება უნდა იყო-სო და, როდესაც იმას შენიშვნას მისცემს — მაგნაირი თავის-უფლება სლავიანების სკოლისათვისაც საჭიროა, უარს ამშობს!... ამ გვარი ხამელეონობა სახალხო განათლების საქმეში შეტათ მავნებელია. ხალხის თუ ერის გრძების თუ გრძნობების დამა-ხინჯებზედ მნელი და საშიშა არ არის რა. იავათ არც ერთ სახელმწიფოს თუ წოდებას არ დასკვდომია ხალხის კოსების და იმის გრძნობების გარევნს და დამასინჯება და ამას, გგონებ

ხედავს აკსტრო-კენტრია, რომელსაც სლავიანების აჯანყება  
ძილ შეც კი ელანდება! განა უფრო სასარგებლო არ იქნებოდა,  
რომ სახალხო განათლება ეროვნულ თუ ხალხოსნურ ნიადაგ-  
ზედ იყოს აშენებული და საღასის საჭიროება ჭირდეს მიზნათ?  
მაგრამ, ამბობენ: «სახალხო განათლება უნდა ხელს უწეობდეს;  
სახელმწიფოს თვით-დაცვა; ეს არ მოხერხდება, თუ ეროვნე-  
ბას ადგილი უქნება სახალხო განათლებაშით». ეს აზრი სრუ-  
ლებით ყალბია. სახელმწიფოს ურთობა, სახალხო განათლების  
დამასინვებით, ამ განათლების დამონავებით რომელიმე შოლა-  
ტივური სისტემისადმი და ეროვნობის უარ-უთვაბით არავის  
შეუნახავს. ამ გვარ მოქმედებას სულ წინააღმდეგი შედეგი ჭირ-  
ნია. აღეთ იგივე ორთავენი აკსტრო-კენტრია. ნერარ ხსენებუ-  
ლი მუტერნისის სიტრემა იმაში მდგრმარეობდა, რომ დაეცვა.  
სახელმწიფოს ურთობა; სისტემა სდევილა თავისუფლებას,  
ეროვნობას ულველ-გვარ საზოგადობრივ მოვლენაში. ამ გვარმა  
პოლიტიკამ კინადამ ბრძოლა არ მოუდრო სახელმწიფოს. საწ-  
ყალი აკსტრია საკუდილიდგან თითოეს რუსეთმა გამოიხსნა...

## IV

შემთხოვენ მოუვანილი აზრები გვაჩვენებენ, რომ სახალხო  
განათლება დაუუნებული უნდა იყოს თავის საკუთარ განორჩე-  
ზედ. არც ერთ გარეგან მიზეზს არ უნდა მისდევდეს. იმის მი-  
ზადი ხალხის სულიერი თუ ბუნების გაუმჯობესებაში უნდა  
დატებოდეს. სახალხო განათლება მთელი ერის თუ ხალხის,  
როგორც საზოგადოებრივ სეულისა, ფიზიოლოგიური მოვ-

დენაა\*). ამ მოვლენას თავის საკუთრი კანონები აქვს, თავის მიზანი თუ კი კანონები და მიზანი შეაცვალეს, მაშინ თთონი ფიზიოლოგიური მოვლენაც დამახინჯდება, თავის ძალას დაჭვარებულს და საზოგადობრიულო სხეული, ე, ე. კრი აგზა მუოფი შეიქნება. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ როგორც უღებელივე ბერძო გაცი შეიძლება საზათაც იუს და ავათაც, კირკვე მთელი ხალხი თუ ერთ შეიძლება აგათ-მუოფიც იუს და კარგათ-მუოფიც. ერთსა-და-იმავე შემთხვევაში თთონების არაკითარიმე ფიზიოლოგიური ან პირალოგიური გარჩევა არ არის. მეცნიერება საზოგადოების ცხოვრებისა (общественна наука). ეს ამ ჭეშმარიტებას მისდევს და ჩვენც ეს უნდა ვიქთნიოთ სახე-ში, როდესაც სახალხო განათლებაზე კლაპარაკოსთ. თუ სახალხო განათლება საზოგადობრივი სსეულის ბუნებითი, იუზი-ოლოგიური მოვლენაა, მაში პირველი განონი ამ განათლებისა უნდა იყოს ხალხოსნური, ეროვნული მიმართულება. მსოლოდ მაშინ განათლების განონი დაკმაყოფილებს, ერთის შხრით, ისტორიულ ჭეშმარიტებას, მეორეს — ხალხის სულიერს, ზნე-ობითს. არსებას. წინააღმდეგ შემთხვევაში სახალხო განათლება პირ-და-პირ ტუგვილ გზაზე იწევსა დაუნებული!!

უღებელივე ცალკე უნდა აზიზარდოს ისე, როგორც იმის ბუნება ითხოვს... ამ პირის დასამტკიცებლათ ჩვენ შეგვიძლიან ბევრი საბუთების წარმოდგენა, მაგრამ აქ მარტო ერთს საბუთს მივაჭრევთ შეითხვეთის უურადღებას. არ მოპოვება ისეთი ხალხი თუ ერთ, რომელსაც ერთი რომელიმე კარგი მხარე არა ჭირდეს, რომელიმე ღილებით მაღლა არ იდგეს სხვა ხალხზე. რაც უნდა დავიწევებული და თვალ-უფრ

\*) იხილე ფრანცის „სახელმწიფო ფიზიოლოგია“.

მოშორებული ერთ აიღოთ, თუ კი იმის განაობასა და ცხოვრებას  
დაკავირდებით, უკეთესად ერთს მაინც ისეთს თვისებას იპოვნით,  
ზნეობითს, თუ კონებითს, რომელითაც ის მარგალიტივით გა-  
მოსჭრილავს... ეს ობილი მარგალიტი უღელივე ისტორიული  
ერთსა, ეს სალხის «გენია დიდათ ჰატივ-საცემი და უურადღებას  
ლისათ და სურავი იმ სახელმწიფოსაც, რომელიც ამ ჰატივ-  
ცემას და უურადღებას, არ ივიწებს!... სახელმწიფოს სარგე-  
ბულობა თხოვას უველა ერთს განათლებას, ჰადგანაც ამითი იმის  
მაღა და პროგრესიული მომრაობა ემატება. სახელმწიფოსა-  
თვის, უოგებ შემთხვევაში, მატათ საჭიროა ისეთი სახალხო  
განათლება, რომელიც სხვა-და-სხვა ერთს კარგ დისკებას და  
თუდებას წინ წააყენებს, ასპირესიე უამოივებას და მოქმედ  
ძალად გახდის. ეს მაშინ შეიძლება, როგორსაც თითონ განათ-  
ლება «ეროვნულ ნიადაგსები» მკიდრაო იქნება აშენებული!....

ამ ბოლო დროს ეს შეცდომა გაასწორეს ზოგიერთ პი-  
როვის სახელმწიფოებმა და, სხვათა შორის, თოთონ მრავალ-  
ერთვანი ავტორიაც კი მისვდა, რომ «სდავიანების ნემიცებათ  
გადაეკეთოთ» კარგი არა დაიბადება-რა. ამ სამციფრო თავი დაა-  
ნება შეტექნისას სისტემას, რომელსაც შიშის და ელდის შეტი  
არა მოჰქონდა არა. ისტორიულ ჭიშმარიტებამ და მეცნიერებამ  
გზა გაიგდინა და ხელა-ხელა ადგილს იყერენ ცხოვრებაში.  
ერთვნობას თავისუფლება, სახალხო განათლებაში თუ სხვა-გვარ  
ცხოვრების მოვლენაში, რომელიც ამ შეცნიერების ხაყოფია,  
მაგარი, თუმცა კი წენარი, ნაბიჯით. საზოგადო ასპარეზისაკენ  
მიემუშება... ეს ახალი ძალა იზიდავს საზოგადოების უკუ-  
თესი ნაწილის წარმომადგენელების სულსა და გულს,...

## V.

როგორც ზემოთ ვსთქვით, უკანასკნელ ღრღს .. უწინდელმა გერმანიის შოლიციურ მეცნიერებამ დავარგა თავის გავლენა სახელმწიფოს ცხოვრებაში. ეს პოლიციური მეცნიერება, როგორც მკითხველსაც ერთდინება. უკალგან და უოველთვის იმას ჰქადაგებდა ორმ სახელმწიფო რაც უნდა მოაწალ. ერთვანი იყოს, ერთს საკუთარს და თვით მუდავს პირს წარმოადგინს და ამისათვის უკედა ერთ, როგორც ხაწილი სახელმწიფოსა; უოველ შემთხვევაში მორჩილი უნდა იყოს ამ უკანასკნელისა ამ მეცნიერებამ, რომელსაც მეტადრე გერმანიაში ბეჭრი სახელვათქმული მომხრენი ჰყავდნენ, სრულებით არ იცოდა, ანუ, უძლებესია ვსთქვათ, არა სურდა სცოდნოდა, ერთგნული თავისუფლება სახალხო განათლებაში; სრულს მორჩილებას ითხოვდა სახელმწიფოსადმი, უკედა კრის ერთის ადლით ზომიავდრო ერთ ტალაპოტეში აუკენებდა. სად იყო ერთვნული თავისუფლება, ერთს თვით-მოქმედება?! თუმცა ამ თავისუფლებას და თვით-მოქმედებას ითხოვს, როგორც ბუნება, ისე ისტორიული კანონიც! მკითხველმა, არ უნდა დაივიზუს, რომ ზემოხსენებული მოლიციური მეცნიერება პირ-და-პირ ცხოვრების საჭიროებისგან წარმოსდგა, კასონიერი შეიცილი იყო კერძობის საზოგადობრივი ცხოვრების მიმდინარეობისადაც ამისათვისაც თუ უწინ. ჰქონდა რაიმე ფაკტიკური მნიშვნელობა, ესლა ისტორიული ტრადიციის მეტი. არა მოეპოვება რა. როგორც ვიცით, ფეიოდიზმის უროპაში აურიც-დაურიცა სხვა და სხვა ერთის თუ ხალხის წოდება-ნი, უწესობა და წოდებისული ბრძოლა ფავულასთა და კანონით დასჭირდა. ამ გვარი მდგრადისა და ხანს გერმანიდა და

არც ხან-გრძლივი სიცოცხლის მაღა ჭქონდა. კერც თითონ ხადა-  
ხი შეუძლებდა ამ გვარ ცხოვრების წერძილებას, ანუ, უმჯობე-  
სია გსთქვათ, ამ უწყობილებას და უწესოებას. ფერდალიშვილ  
თან მოჰყვა პოლიტიკური სახელმწიფო, ორმილის პარკელი  
შიზანი მდგრადარებელია იმაში, რომ ხალხის სუარეო თუ სხვა  
უფლება დამორჩილებისა ერთი მაღისათვის, რომელსაც მაშინ  
სახელმწიფო ძალის უწყობელი იქნება. ამ ძალის აჭარა-დიდება მორ-  
ჩიდება იყო. ერმა უხდა თავი დასწებოს თავისუფლებას და  
მსსეურბლათ შესწოროს თავი სახელმწიფოს, როგორც თვით-  
მცერობელ პირსათვათ რას თხოულობდნენ მაშინ და რას ქა-  
ზაგებდნენ პოლიტიკური მეცნიერების წარმომადგენელნი! პოლი-  
ცოვრი სახელმწიფო (Полицейское государство) ხალხის ცხოვ-  
რებაში დაუკითხავათ ერეოდა და უოკელთვის მორჩილებას ით-  
ხოვდა. ამ მიმართულებამ სრულებით დამახანგა ხალხის სული,  
იმის ბუნება, ავათ მეოთხია გაუჩინა მოქლს ხალხის სხეულს.  
პოლიციურ სახელმწიფოს შემდეგ დარსდა ასეთ წოდებული  
კანონიერი ანუ თავისუფალი სახელმწიფო (Правовое государ-  
ство). უკანასკნელმა თავის სახელმძღვანელო პრინციპათ ერის  
თავისუფლება მიიღო, თუმცა სრულებით კი არა და თუმცა  
სხვა-და-სხვა ადგილას მეტნაკლებათ. ამ შეტანაკლებობას უკელა  
კვრობის სახელმწიფოში ვხედავთ და ეს ერთს სასარგებლო  
და მისაძვის ღირსს მაგალითს გვიჩვენებს — სადაც საჯხის გა-  
ნათლება უფრო ფართო თავისუფლებაზედ არის დაუგრძელებუ-  
ლი, იქ სახელმწიფო და ხალხიც მოქლს და საღს სხეულს  
წარმოადგენს; მაშასადამე, ეროვნული თავისუფლება თითონ სა-  
ხელმწიფოს საჭიროებამ და ცხოვრების მიმდინარეობაშ გამოი-  
უკანა ასპარეზედ და თუ სახელმწიფოს სიმრთელე და იმის  
გერთიდელება, როგორც ისტორია გვიჩვენებს, ამ თავის-

უფლებაზედ არის და კიდევ უნდა იყოს დამუჯიდებული, თოთონ სასელმწიფოს პირველი ვალია — წარმოვალი ადგილი მისცეს შეს ცხოვრებაში. ორმ ცხოვრებაში განსორციელდეს, და მტკიდოთ დამუჯიდეს. უმთავრეს მიზეზათ უნდა ჩავთაცხოთ ისტორიული ტრადიცია, ის შეცდომილება, რომელიც ძევს ბერძენი მასალებიდან მომდინარეობს...

## VI

თუ მკითხველი დაჭირებულია სახალხო განათლებას ეკრანის გონიერობის დაწინაურებულ და განვითარებულ სასელმწიფო მიზანის, ადგილათ დაინახვდა იმ განრჩევას, რომელიც ამ განათლებას ეცემაბა პირველივე შეცდებულობით სახა-და-სსკა სასულიშიწიფოში. სასოგადოებრივ ცხოვრებას, სახელმწიფოს წესრიგებას და საზოგადოთ ისტორიული ცხოვრების მოძრაობას ღრმათ დაუსკამას თავის ბეჭდი სახალხო განათლებისათვის. ამ მიზეზის გამო ჩემი შეგძიმულიან დავასახელოთ ასეთი თუ ისეთი სისტემა სახალხო განათლებისა მთელ დასავლეთ ეკრანში და გადაწყვეტით გსორქათ — ამა და-ამ ხალხის თუ სასელმწიწოდის ესადა-ეს სისტემა აქვს. მთელი დასავლეთი ეკრანში სახალხო განათლება შეიძლება სამ გვარ სისტემის ჩატორში მოთავსდეს. თვითონებულ ამ სისტემას თავის ფერი და შიმართულება აქვს, თავის ბეჭდი ასია. ეპთო სისტემა მაგრავნის ურანცუზების და თავის გარეულ გზას ადგა. ამ სისტემის სული ადმინისტრაციული ცენტრალიზაციაა; ამისათვის შეგვიძლიან სახელიათ ვუწოდოთ მას «ადმინისტრაციული ცენტრალიზაციის სისტემა». ასე გასინჯეთ, სახალხო განათლება საფრანგეთში ადმინი-

სტრატიული უფლების ანუ შეცნიერების საგანძა. შეითხვეს ეცოდინება, რომ საფრანგეთის საზოგადობრივი და ისტორიული ცხოვრება წარმოადგენს ერთ შეუჩერებელ მოძრაობას. აქ ნელ-ჩედა და შეუჩერებელ თ სახელმწიფო სხვა-და სხვა წოდებათ თავისუფლებას ხელში იკრიბდა, თავის ძალის და ძლიერების გავრცელებას მისდევდა და კიდეც შესრულა ეს საქმე. ბოლო დროს სახელმწიფოს უფლება კონფიდენციალურობათ გადააწყობა და ამ მაღამ ჩაუდაბა საჭარის თავისუფლება. სახალხო განათლებასაც ამ ისტორიული განათლების გავლენა ეხლაც აქტორთ ეცემდა. აქაც უოშელ შემთხვევაში სახელმწიფოს ეპუთვნის ხელმიზანელობა და მზრუხველობა, საზოგადოების თვით მოქმედებაზე თითქმის უურადება არ არის მიზრული. შესამე რეა შესლივა, ვითომც უნდოდა გაესწორებინა ეს შეცდომილება, მაგრამ კრ მასახელსა, როგორც შემძებელი დაუსახავა. კურ გადევ ბევრი დრო გაივლის, ვადრემდისინ საფრანგეთი განთავსუ ებდება თავის ისტორიული სენიდეან, რომელსაც სახელათ ცენტრალიზაციის სისტემა ეწოდება...

სახალხო განათლების შეორე ტიპიურ მიმართულებას ვხედავთ ინგლისში. აქ ისტორიული მოძრაობა სელ სხვა ნაირი იყო. თუ საფრანგეთში ცხოვრებამ საჭარი პირ-და-პირ ცენტრალიზაციასთან მიიკანა, ინგლისში სრულებით წინააღმდეგი მოვლენა მოხდა. ინგლისის ხალხის ცხოვრება, ისტორიული გარემოების მეორებით, მყვადრათ დამტკრა საზოგადობრივი თავისუფლებაზე და პირკეთათვე ეს ცხოვრება შეუჩერებლათ ამ თავისუფლებას ელტიადა. ამ მიზეზას გამო სახალხო განათლებასაც საჯახოსნური მიმართულება მიეცა. ინგლისის სახალხო განათლება წარმოადგენს საზოგადობრივ თავისუფლების სისტემას. აქ პირკელი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების თაოსნო-

ბას, იმის თვით-შოქმედებას. სახელმწიფო არ ჩხირ-გედელათბის და არ ეგვიატება საზოგადო საქმეში. რამოდენიმე წლის წინათ აქც სახელმწიფო დაიწყო სელის ფათური სახალხო განათლებაში, მაგრამ საზოგადობრივი თავისუფლება ისევ შეურცევებათა სდგას.

მესამე და უკანასკნელი სისტემა უნდა მოვქმებისათვის გერმანიაში. ეს გონიერი დაწარჯიშებული მხარე ბუდეა სახალხო განათლებისა. დასაწევისი სოფლის სკოლისა აქ იყო რეფორმაციაში შემას სახალხო სკოლა და ამ სკოლის მიმა-მოაკარა ბრძანდებოდა და ღიუტერი, სახელმისანი ღიუტერი, რომელმაც სამუდამოთ დამეტობისა და მმობილები გახსადა ორნი უწისდელნი მტრენის — ეპბრესია და სახელმწიფო. სახალხო განათლებასაც შეგობრობის დაღი დაესკა, სახელმწიფო გელესთური მიმართულება მიეცა. ტრიმინისი სახალხო სკოლა ხალხისა კი არა, სახელმწიფოსა და ეკლესიისაა. ამ შეკავშირებულ მმებს და მეგობრებს სკოლა უზრდის ერთგულ მოარმისასურჟეთა იქ (ე. ი. გერმანიაში) სუფეგს აგტორიტუტობის პრინციპი, რომელიც უგილიან პატიტია; იქ უოველისფერი საკსეა მორჩილების გრძნობით ძალის წინ, იქ ვითომც ხედავთ უსამსილეოობა. დამოუკიდებლობას აზრის სამფლობელოში, მაგრამ კი შეხვდებით პასიურ მორჩილებას მოქმედებაში, — კანონის, ჭიშმარიტების, სამართლის მორჩილებას კი არა, ძალის წინ მოდრებას: იქ დესპორტურით უფლებებს ბრძანება» (გიბში, საზოგადობრივი განათლება გერმანიაში, 1874 წ.). აი რა გრძას ადგია და რა მიმართულებას ემსახურება სასალხო განათლება გერმანიაში!...

ნიკო ხოზანოვი

(ლასასრული უმდეგში.)

## სიტყვა და საქმე\*)

Такъ точно воеть почи па пролеть  
Вся эта сволочь, выродокъ прогресса.

Байронъ

(ლასასრული)

## IV

სოსიეთ მთლიანათ მიეცა თცნებას, ხმა კელარ ამოლოდ  
გარეა ხანი. მეც აღარ მინდოდა მისი ტებილი სიჩუპე დამეზღ-  
ვია და დაგიწევი ჩემის მხრივ ფიქტში დორების გატაცება. მაგ-  
რამ უნაუროვნო არ იყო ჩემთვის ეს ჩაუიქნება. უვარებისი რამ  
კი არ მიტრიალუბდა თავში. მე კცდილობდი მომენტულებისა უ-  
სესივე ის მოვლინებანი, რომელიც სოსიეთმ გადაშალა ჩემ-  
წინ. თთოთ მისი სიტყვა აღმერიდა ჩემ ტეინში და გულში  
ათას ნაირ ასალა-ასალ მოსაზრებას, ასალი გრძნობები ერთი  
ერთმანეთზე ირეოდნენ მოთელ ჩემ ასებაში, ანუ უპეთ კსტე-  
გათ, მთელ ჩემ სტრმაქში. წინ მიკვდა ჭაბუკი უოველისფრივ  
სრული და ძალუმი. მე მემუსათვებოდა ჩვენი ქვეუნის უკეთეს-  
თაგანი შვიდი. ამიტომ დიდი უგულობა და უვუნურება იქნე-  
ბოდა ჩემგნით, რომ მე არ მესარგებლნა სოსიეთს ნალაპარა-  
გევით და არ შემესწავლა ამ იშვიათი ადამიანის იშვიათი ზენი.

\*) ლასაწყისი იხილე „იმედის“ 4 წიგნში.

მთ მომეტებული ცნტერესით გადავავდე ფაციცი თვალები ჩო-  
სკო თავ-დადებულის ნაშანსა, რომ მე აქ დავინახე ჩემი აზ-  
რის სიმართლე, მა დავრწმუნდი თვით სისაცოს მაგალითზედაც,  
რომ უოველი თავ-დადებული არათერს არა თავილობის, არათერისა  
არა სტრენიან, როდესაც კი საქმე მიღება იმაზედ, რომ დაგ-  
ვანასკოს თვითი ნამდვილი ჩამომავლია ჩვენიდგან. მასთან სო-  
სკო თავ-დადებულზე ვინახე, რომ რამდენი უცრო კაცი ემპუ-  
ნის საქმისთვის» იდაგება, რამდენი უფრო თავ-განწირულია იგი  
«ასწოვადო ინტერესისიათვის», იმდენათ უცრო დღის ხერხეს  
და ჭიდას იჩენს საუთველთაო ხელობის მიღევნაში, ე. ი. რამ-  
დენია კაცის ძრიელ უცემს გული უვილა სიგუთისადმი, რამდენი  
იგი მომეტებულათა ცდილობის საშმობლოს საფუძვლიან განათ-  
ლებას, იმდენი ასეთ კაცს უკავერის დაუგდორობილი გამოძიება  
სხვისა ვიბის მდგრამარეობისა. ეს კიდევ არათერი. სრულ  
იღეალი, უმაღლესი მაგალითი თავ-დადებულებისა ის არის, რო-  
მეულსაც უიგორ კარგა შეუძლიან «სუნის აღება», რომელიც უფ-  
რო ნიჭიერი შეძებრია, რომელიც უიგორ მარჯვეთ მიაღება  
იმ ადგილებს, სადაც ფუტკრები უდღოს. თავ დადებულის სა-  
მაგალითოდ გამოდება ის გმირი, ვინც დღეში ერთხელ გაბტ-  
ბონის თავის მოუვასრა, მაგრამ ისე გაბტბონის, რომ ჩვენ ერთ  
წელიწადს ვერ მოვაკერხებთ იმის ნახევარ ბუზებულის აცლას.  
ჩვენისთანა ურალო კაცი გროშიაბითაც არ დატარებს მოვლე-  
მარე მეზობელის ანუ უცნობის შებერტებას; მაშინ, როდესაც  
შესთესი თავ-დადებული გროშიად შესეღვასაც არ იგადობს.

ბევრი ამისთანა მშენებირი აზრი დასეირსობდა ჩემ თავში.  
მკითხველი ცხადათ წარმოიდგინს ჩემ სრულ ციურ ნეტარებას.  
როდესაც უოველივე დამშვიდდა — გული დაწენარდა, მარტო სია-

მითა ძგარ-ძგურებდა, ტვანი ჭირობდა ამ დროს დათვეობაც ამოიღო ხმა:

— დაკინაშენე, ბიჭო, დავინი მენე მეცა! ბუნებაცა თხოულობდა ამას. რა ვქნა, მმართ მართალია, ჩემთვის არც ერთი ნეტარება და სოფლის მაღალი საწადელი, ერთი სიტყვით, უკელა ისა, რასაც უგუნურება ქვენარი ბიწიერებას ეძახან, უოველივა ესე ჩემთვის უხვად არის გაშლილი ჩვენში, მაგრამ, კარგათ იცი, მმართ, ხელ-მომჭირნე კარი მუდამ ასეთს გზას ვერ უამოუდიება — ხარჯი დიღია. ამიტომ გადავწევილე ჩემი საკუთარი ბინა მეშვეონა ჩემთვის და საწანწალებელი საჭმე აღარა მქონდა. შენ კარგათ უნდა იცოდე, რომ მე ამას მაღალი პრინციპების ძალით გი არ გეუბნები, არამედ აქა მუშაობს მსოფლოდ ყაირათი და ჰქება...

— შენ რომ არ მითხრა, მე კი არ ვიცი, რომ ნამდვილი თავ-დადებულასთვის მაღალი პრინციპები უსაჭრო და გაუზრდება და ჭირდება — შენისთანა კაცს რათ უნდა რამე ზნებითი პრინციპები!...

— ჭი და, უსაგრე მმართ, რა ვქნა, ბუნების კანონს ვითა სულ-დგმული კურ წაუგა. ამიტომ რაც ჩქარა იქნება ჩემი ჯვარის და-წერა, იმდენი ჩემი ჯიბეც შეისვენებს.

— მერე რა გიშვილის, რომ ბუნების ხმას ბანი ჩქარა მისცე მეთქმი, ვერთხე მე.

— რაუკარი, რა უნდა მაშლიდეს! მე მიტომ გეუბნები, რომ აგისსა მიზეული ჩემი აჩქარებისა კვარის წერაში.

— მერე, როდის აშიროს მაგ გაბედნერებას?

— რაც მაღე იქნება, ის უფრო კარგი.

— მაინც, როდის?

— ჩემის აზრით ამ ერთ გვირაზედ უნდა გათავდეს. ჩემი

კიბისთვის ერთი გვითაც რეტი მძღვე რამ არის, დიდათაც დაეტუობა შას.

— მალიან კარგი გითვიქმება. შენი საბედო სოფლელია?

— სოფლელია და სათველშევე ჩამოვიწოდავთ ჯვარსა.

— ეგ უმეთესი, უფრო იავათ მოაწები.

— მე არ მეწერიბა, რომ შენც თანა მუხანდე მაყრილნში.

არ წამომუკები?

— თუ კი მაგ სიგეთქს მიზამ, ძრიელ დაციშადლებ.

— ჩემი ქავნარე ბედნიერება რომ შაბშურდეს? მკითხა სოსეიტატი სიცილით.

— შენთვის მე არა შემშურდება რა ქვეუანაზე.

— არა, მაგას არ კამისობ. შენ ლოგინში რომ მარტოვა ეგ-დები იქა, მნიშვნელი არ იქნება?

— შენ ფიქრი ნუ გაქვს, ორი-სამი ლამა საცა უნდა იყოს.

— მაგრამ რათა! კარგია, მომავრონდა! ხურც ისაღველი ..

— ეგ ჩემი საქმე არ არის. მე ცოდნშვილის პატიონი ვარ.

— ციკირ ზევით აიცილებ, შენი თავის ცალკევაში.

— არა, გეორგე. მე მოსეს მეშვიდე მცნებას კუთ გადაუყალ, გუთხარი მე მტკიცებ.

— ეპრაცელი სომ არა სარ, რომ არა იმრეწოდა» წმინდათ აა-სრულო?

— მართალია, მარკამ...

— კარგი, გიცნდოსთ, რაც შეიძლი სარ. თავს ნუ იყალენა.

— სულაც არა, შენმა მშემ. მე მართალს გაუსწიო.

— ეგ რა მესმის, კარო! მომიღლოცავს შენთვის მაგრა გაუნათლებელი ცოლ მორწმუნობა.

— რომელ ცოლ-მორწმუნოებაზედ ლაპარაკობ?

— როგორ თუ რომელს? შენ სოუზისთ ავაში კოდიდან-ხარ, თუ მაგას გულით ამბობ.

— მითხარ, რა გინდა სოჭეა?

— ვაი შენ ჩემთ თავი! მე სულ სხვა-ფრიდვ გიცნიბდი. მაში შენცა ყოველი ხარ მოხიბლული ზნეობითა შრინცაპით? აოვე!... ავსუსტი!...

— სადა ჰქედავ ზნეობით შრინციპებს? გვითხე მე.

— მაში რა საბუთი მოგეაგს: მარწევივით გოგოები ჩემი საქ- მე არ არისო, ცოდნების შატორნი გარე! მაში ეს ზნეობითი შრინციპები არა გრონია შენა?

— ზნეობა კი არა, ის არ გინდა!

— მაში მაგ ციცველ მოთხოვნილებას შენი და ცოგელი გა- ცის ბუნებისას რეს იშროებ თავიდგან, რატომ არ გინდა ბუ- ნების განონების მისავე იავისი გზა? რომელი ბუნებითი მეცნიე- რება გიბრძნებას ამას? სად წაგვითხაა ბუნების მოვლენაში ეგ თავის დაჭრა?

— კარგი ერთი, შენც ნუ ჩამაციცდი, თუ ლექტორი გონიერია. მოთალად, შენი სწავლა და ნაში კი არა მაქს, მაგრამ მეც ვიცნია ბუნებას, მესმის ცოტა-ლდნათ მეცნიერება

— მაში შენი ცოდნებილი რისთვის ახსენებ?

— რატომ ისე ლაპარაკებ, თითქო უმარწილი იერასო! ზნე- ლაბაზე, შრინციპზე და ათასნაირ სხვა სისულეებზე მე დადა სანია შენთან მომიალაპარაკენია

— მას რადას დაპარაკობ, სოფელში რათ გინდა ბუნების გამწარენა?

— მგრძნი რატომ სოფელში უატკანს არა სჭირო, როდესაც უკანასკნელი სახლება დამწევდებული.

— ჟო, მეც არა ვთქვი, რა ღმერთი. გასწურომის ამ ჰქონის  
გაცია, ჩეთქი! ექამდის იტელდი და.

— ახლა რა საჭირო იყო, რომ უთუოდ მეღვიარებინა ჩემი  
უფლებამობა!

— მაგრავე ნე დაღისძები — ეგ ჩემი ვალი იუს.

— მაში წავალო რაღა! დაჭია სელი! კუოხარი მე.

— მაღას კარგი. მაგრამ ეს კი უნდა იცოდე, რომ ჩექნ სა-  
ღამოთი მოკვიხდება წასვლა და შენ ამას იქით მუდაშ საღამო-  
უნდა მეღოდო, შინიღვან ფეხი არ გასდგა. იქნება სვალვე მო-  
ვახერხო, იქნება ზეგ; სწორეთ გერ დაგინდნენავ დოს.

— ბატონი ხალ, გარეთ სულაც არ გავაღ ამ ერთ გვირჩს,  
რა მესაქმება!

— ეგ შენ იდი.

არ ვცი, მიმიახვდა მეოთხველი, თუ ვერა; მაგრამ მე კო-  
უნდა ვსთქვა, რომ ვიდრე სოსიერსთან მომიხდებოდა ლაპარაკი —  
მასამდისის მე მართლა ისეთი აზრისა ვიუკ, რომ ცოლ-შვილი-  
გერ ვერადატებდი. მერ კი თითონ ვარგათ არ შესმოდა,  
ეს სოსიერსთან რომ არ ჩამოვარდნილიყო ამაზე მსველო-  
ბა, მე დღესაც მექნებოდა ასეველი თვალები. სოსიერს დაას-  
ლოვებამ აქაც დიდად მიშველა. კაცია მეცნიერების თვალი  
უნდა უოველ საქმეში გადაიტანას. მაგრამ ასეთი ლომათ გა-  
ტარება უოველ მოვლენაში დომელიმე ცხოველი აზრისა მსო-  
ლოდ ძლიერ ტკის შეუძლიან. როდესაც სოსიერმ მიაქრია. ჩე-  
მი დაძინებული უურადლება, მარტა მაშინ დავინახე, რომ «არ-  
იშრუშას 『ნების სურ ასდის』». მაგრამ მე არ გავიტეს-  
აბრე სოსიერსთან, არ ვიზე თავს, ვითომც. მართლა ებრაელის  
თვალით ვუურუებ ამ საქმეს, და ჩემი უვარი უცებ ჯიბის ნაკ-  
ლულებან ძალავასრალე, რომ სოსიერს თვალში უფრო ვარ-

გა გამოგულვისა და არ მეჩვენებინა ჩემი უმეცობება, რომ  
ბუნების მოვლენასი კარგად არ მესმის. თუმცა კი ვგრძეს-პდა,  
რომ სოსიერს ნეკათან არ ვდიოდი, იმისი ერთი მისალი  
ტვინი მთელ წემ გოგოს გაჭერდა და იყიდდა. მართლათაც  
და, რა მშვინიერი ბიჭია, ეს დასაქცევი! მე ვერ მოვითმინე,  
რომ ჩემი აღტაცება არ გამომეთქმა სოსიერსთვის;

— მალიას ჭერიანათ კი გილიქნია, რომ ცოლს როთავ, აა!

— რაზე ამბობ მაგას?

— ავსუსთ იქნებოდა, რომ შენი პირ-და-პირი მემკვიდრე არა  
ჰქოლოდა სამშობლოს.

— ჩემი შვილი გამოადგება მერე ქვეუანას წემსავით?

— რადა თქმა უნდა. მართალია, ზოგი ამბობენ, რომ გარე  
მამებს უდინოსო შვილები უფრო უწნდებათ, ვიდრე მამის მსკა-  
ვნით. მაგრამ ეს სრულებით ტუგილი აზრია. რაც უნდა იქნას,  
მიმობლის თვისება უთულდ გადავა შვილუნდ. ბუნებაში მაგეთი  
მოვლენა უკელვან გენხილება. თვალში. მართლადაც, სად გინდა,  
რომ მაგას არ ხედავდე: ჩემი სოფელში დაისკებმაც კი იციან,  
რომ ფინშიანი ბუნიდგან მსხვილი და ბარაქიანი საქანელი ჩა-  
მოდის. აკრეთვე ძალებებშიაც და ქათმებშიაც მუდამ დღე კე-  
დავთ მაგ მოვლენას. ვითომ კაცი რადა არის?

— რა თქმა უნდა! მერე ძალიან მინდა, რომ ჩემი შვილი  
ცოლტათი მაინც მციანდეს.

— მარტო ერთი ცეკვით სისხლი რომ შენი ედებეს მას მარტვ-  
ები, მასც სამშობლოსთვის დიდი ბურჯი იქნება.

— მე შაგაში ეჭირ არა მაქას... არა, ცეთაუგა, თუ დამერთი  
კორწამს, თუ ჩემი მმობის სათრი და სიუვარული გაქვს, ნუ და-  
მიმალავ და პირში მითხარ, ჩემი ქვეუანაში მე დამუდრება ვინა  
მე? მკითხა სოსიერში.

— სწორეთ გეტიში, თუ არ გეწყინება. მაგრამ ჩეკნში წერის რა ხელი აქვს! — იცი, რა გითხრა, მძალ-ჯან? ჩემის აზრით, შენ ჭერ ჯერ ბიჭი სას და ამიტომ გეუბნები, რომ შენზე გარგიბიც არაა ჩეკნში და შენისთანანიც ბლომათ.

— ჩემისთანები ბლომათ და ჩემზედ კარტებიც არიან?!

— რა ვქსა, არიან და ტუკილი როგორ გითხრა!

— აბა, მაგალითად, რომელი გროვა ჩემზე მჯობი და ას ჩემისთანა?

— აგრე, თუნდა ქალაქამე აღდე, გინდ მურიკამე, გინდა ჟაგიაშვილი. შენ ჭერ იმათამდის ვერ ახვალ, ჭერ ბეჭრი გაგიცვდება იქამდის...

— ვად შენ, ჩემთ თავო! მერე მაგრე მიცნობ შენ მე! რითა მჯობიან ეხლა მე გინდა თითოს ქალაქამე, შენის ჰქეით?

— ჭერ, რაც იმას თაბახი ქალაქდი დაუწერია, შენი წონა მარტო ის გამოვა.

— პირველი ესა, რომ დაბეჭდილი ქალაქდის სიმრავლე კრძალ არ არის თავდები, რომ მწერალი მართლა კარგი იუს. შეორეც, რომ მე მაგოფენა როცა ვიწები, უფრო ბეგრი შექნება დაწერილი.

— მე შენ მომავალუე არას ვამხობ, შხოდოდ ეხლასძელს ვუურებ.

— გინდა ეხლანდელი იუს მარტო ჩემი ერთი შენიშვნა იმასებდ, რომ ჩენი გლეხ-კაცობა სამისელი კონკრეტურია, — ჭო, მარტო ეს შენიშვნა, სხვაზედ რომ დაკაუმდე, მთელ ქალაქამის ნაწერებს ქვეშ ამოიდებს.

— მე არ წამივითხნია ეგ შენი შენიშვნა ჩენ შწერლობაში.

— არ წაგივითხნია იმიტომ, რომ ჭერ არ დაშიბეჭდინებია.

— მერე რატას უურებ, თუ მართლა კარგია?

— გარდა როგორ არ არის, როდესაც ამ სტატიაში მე აღვადგინე ერთი უძრავის კითხვათაგანი ჩვენი შინაური ცხოვრისა. მაგრამ გაზითს შეშურდა, რომ იმის თანამშრომელებს არც ერთს არ შეუძლიან ასეთი ლომათ შესედვა ჩვენ გლეხ-გაცობაშე, და პარულმობით არ დაბეჭდა.

— რას უწინობობა მაში ეხდა?

— რას უნდა უწინობდე, უნდა დავბეჭდო.

— ფული რომ დაგრესოვება?

— ჩემი ფულით ხომ არ დავსეჭდავ და! «საზოგადოების» ფულია ჩემის მხერიანით მოგროვილი და მევე მაბარია ეს ფული. შინი დანიშნულება ის არის, რომ ქართული წიგნები ბეჭდოს და ხალხი წერა-კითხვას მიაჩიოს. იმაზე უკათეს დანიშნულებას რომელ საწერზე აასრულებს ეს «საზოგადოების» ფული, თუ არ ჩემი სტატიის დაბეჭდდებე! «დოლების» თვალის მოსათხრელათ მაინც გამოვა ეს მშვენიერი და მაღუმი შენიშვნა, რომლითაც ჩვენი გლეხ-გაცო გამოიყენებას უკრს და უსმენს ახლანდებს განათლებას.

— მაგას მაშინ დაკინახავთ, როდესაც შენი სტატია ხალხში ჩავარდება. შანამ კი ქალაქებში მდის კერ ბევრი გიყლია. იმან გაიგეთა სახელი და მასთან დიდი სახელი.

— არა, ლეის წინაშე, ქალაქებე და მისი გამშვინია ჩვენში ძრიელ მაღლა დგანან. მე ხომ აშის წინააღმდეგს არას გამბობ. მაგრამ მაინც ჩემი მომავალი უკათესია.

— რათა ხარ მარაში ესრე დავეცებული კითლე?

— აშაცე მე ბევრი საბუთები მაჟეს. მართალია, ჩვენი თავ-დალებულები, რომლებშიაც ქალაქებს უფროსობა ეკუთხნის, უოკელის მხრით შესანიშნავია არან; მართალია, ჩვენში ახალი მეცნიერების შემოტკინ ეკუთხნით მათ; მართალია, იმათ აახოეს

შირვენი ჩირალდანი სინათლისა ჩვენი ქვეყნის კულტურული ისა-  
ნი ცუკინი გენისა მისიონერები ბუნებითი სწავლის გავრცელებისა  
ჩვენ ცრუ-მორწმუნე ხალხში; მართალია, თვით ასაღვი თაღვან  
თავ-დაჲგბულებისა, რომელთა შორის კდგრივან მეცა, მათის  
წესადობით და მეცადინებით არის ქვეყანაში კამოსული; ქალა-  
ქამებ და მისმა მიმდევრებმა დაგვირჩვიეს თითონ ჩვენც პირ-  
კელიათ დვითის შიში, მერე მორცებია; მართალია, იმათ არაი-  
რისა სრტკენოდათ და არც არაფრისა ეშინოდათ, გარდა კუნძი-  
სა, — უფროდიშე კს მართალია, მაგრამ მარც იმათ, უკალა ჩამო-  
თვლილ დირსებასთან, ჭირდათ ერთი საშინელი ნაკლულებანება,  
რომელიც მათ ართმევდათ ბევრ-ნაირ ძალას და უშლიდათ საქ-  
მის ურჩაღათ წაეყანას.

— ააა, რომელი ნაკლულებანება არას, მეთქმა? გვითხე მე წა-  
საჭირებულმა.

— იმათ არ იცოდნენ ფულის ყარდი.

— იგ გიზევ არაიერა, მენმა მზებ.

— სწორეთ რომ დიდი დეკრია, თუ კარგა ჩაიყიჭდები. ვისაც უკულის უაღრი არ ესმის, იმას კარგათ არც პირდი-  
კური ეკანომია ესმის, და თუ უკანასკნელი კაცმა «მამაკა  
ჩვენოზე» კარგა არ იცის, ის კაცი კირა და თანამედროვე გა-  
ნათლებაში მტკიცებ.

— არ მენმის, რა გინდა სთქეა მაგოთა.

— ისა, რომ ჩვენი მსწავლული იყვნენ უკალაზე დასე-  
ლიოვნებული. თავიანთ სწავლას და მეცნიერებას სწორედ იქით-  
ხენ აქცევდნენ, სადაც უფრო გასაკალი ჭირდა. თავიანთი განათ-  
ლებით ისინი ატეუვილებდნენ უკალას, ცარელზე სომძნენ — მო-  
უკასი, ვისაც კი თვალში ჩინი ეტეობოდა, არ გადურჩათ გაუბ-  
რევნელი, გაუგრეველი, გაუტეაველი, გაუქერდელი, კეთილ-

შობილურათ გაუცურებელი; ჩვენებური ქალის გულიდგან აღმო-  
იხვნეს ზნეობითი პრაცეპები, და ბევრ სსვა საქმისები მიაქ-  
ცის მისი უკრადლება, გააგებინეს ბუნებითი მოთხოვნილების  
ნამდვილი მაღა და მისი კანონიერი ბოლო, ერთი სიტყვით,  
ბევრი ჩვენი ცოდნების მოვლინება გაანათეს. უოგელსაგე აშ  
მოქმედება; ის დანიშნულება ჭირდა, რომ მათ ეჩვენებინათ  
ქვეუნისათვის უკეთესი კაცის მაგალითი, ე. ო უკეთესი გაცი  
უნდა სცხოვრებდეს, სელ-გულ გამჭილათ. ჩვენც ამავი ჭეშ-  
მარიტებას ვადგევათ. მაგრამ ახალსა და ძველ თაობას შეა  
ის შესანიშავი განსხვავებაა, რომ ჩვენ გემსმის იუნის უაი-  
რათი და იმათ კი არ ესმოდათ. ისინა ასტატურათ იმიტომ  
იღებდნენ მოუგასის ჯაბიდგან გატივულ ქისას, რომ იმავე საა-  
თა გაექროთ, გაესალებინათ მასში ჩამწევდეული ფული.

— ჩემის აჩრით ისინი ძრავებ ჰქონიათ მოპრეული. კუთ-  
ხარი მე.

— შენ კიდევ არ გასმის. აბა ჭიათ სად არის, რომ კაცი  
არ ფიქრობს მომავალზე? იმათ შეეძლოთ სელ-მოჰერით ეც-  
ხოვრათ და ფულები ენახათ საბოლოოთ.

— მერე, რა შავ-ქათ უნდოდათ?

— შავ-ქათ კი არა, თეთრ შეათ გამოადგებოდათ. ისინი  
თავიანთი ბუნების ლიცებით რომ დიდ-მაღა ქონების პატრიონი  
გამზღვაოვნენ, მაშინ რო-ნაირათ ასწევდნენ ჩვენი ქამარის მო-  
საზრებს, რო-ნაირათ ინებოდნენ თავ-დადებული ქვეუნისთვის;  
პირები თავიანთი მეცადინეობით და მეორე, ფულებით. მასთან  
ფული უფრო ბევრს იმუშავდა, კიდევ მათი პირადი ლისება  
და მაღა, ფული უფრო დიდს თავ-დადებულობას გამოიხედა,  
კიდრე თითოებ ისინი.

— ეგ მართალია, რომ ფულს ბეჭრი რამ შეუძლიან, მაგრამ რაც უნდა იყოს, მანდ კიდევ იშლტელა გარჩევა არ არის თქვენ შორის.

— სულაც არა. გარჩევა მრიელ დიდია- ასა, მაუურე მე შენ, როდესაც ჩემი ქონება მიღიოხნათ გადაიტივა, ზოგი მაშინ აღვიარე მაგროდ აჩირები.

— არ მიღიოხნია რომა კურიდეს, მითომ რას ისამ?

— რატომ არას კიზამ! მაშინ იავ ფასათ ქართულ წიგნებს და კასტეტებისებდი. ბლობათ გავიარებიდ სალსში აშისთანა განმიათლებელ იარაღს და აგწევდი ხალხის ჭიკა-გონებას. დღე-და-დამე არ მოვისცესებდი, რამ ჩვენ შეეგანაში საფუძვლიანი მეტნარება დაარსებულიერ, ჩვენ საღს ესარგებდნა მეცხოველე საუკუნის ძლევა-მოსილი განათლებისაგან.

— ეგ, რასა ევითებულია, პრაულ დაზი რამ იქნებოდა სამშობლასათვის.

— მეც სამშობლოებ არა ვდაპარაკოს მურა აქნამდის! მეც მაგრტომ არა კარ მზათ, ...

აქ მეცა და სოსიიკოც დავიღალენთ და ცოტათი ჩავთიქმიდით.

## V

სოსიკოს დღეგანდელი დაპარაკიდგან მე ბევრი შევადარე იმას, რაც მას ჩემთვის წინათ ეთქო, და, განა არა, ცოტა ეჭვი შევიტანე მის გულწრფელობაში. მე თითქო ტუგვილშიაც დავიჰირე ისა ჩემის ფიქრით. როგორდაც ჭიკაში არ მიჯდე-

ბოდა მისი დღევანდები ბასი წინაშე დღითან და ამ უოუმანის  
გამოსაკვლეებათ გვითხვი:

— გახსოვს, დათიკო, შირველათ რომ მე და უნ ერთმანის  
რიგიანათ გავაცნით, უნ როგორი თავ დაჭულები იყავ საზო-  
გადა საქმისთვის? დღეს კი უნ მაგდანათ არა სარ გატაცებუ-  
ლი იმავე ციცქლით. ამ მაჩურია ეს?

— მიზეზი უნია საგურამი გამოუცელობაა: უნ არა და-  
გვიწყდა, რომ დღეს სრულური სხვა საგანტე დაწეუ უნ ჩუმ-  
თან ლაპარაკი, და მაშინ სულ სხვა იყო.

— ეს კი ვაცი, მაგრამ ერთხელ როდისლარ მე უნ შეჯა-  
გოდე გადაგიგან სიტევა და უნ თავი მოიკატუნე, ვითომიც უ-  
ნია შიროვნება გავიწყდებოდა «საზოგადო საქმესთან», ვითომიც  
უნ თავს სუსას არ აძლევდი რამე სიმოვნებაზე გაიღინდა.

— მესმის, მაგრამ მასდაც უნი გამოუცელობა მუშაობს.

— როგორ, მერე?

— როგორ და ისრე, რომ მაშინ სხვაორივ კერ დაგიწყებდი  
მე უნ ლაპარაკი. უნ კვერ უსუსური უმაწველი იყავ, ცხოვრე-  
ბა ქავენასა უნ არ გადელებდა, უნ ულველივე იუნებულე გეგი-  
და, და ამიტომ მე მივიღე ისეთი საშეალება, რომ გამომეუგანე  
უნია შირადი ინტერესებისგან. მე რომ ისე ცხარეთ არ დატეწ-  
ეო უნითან «საზოგადო საქმეზე» ლაპარაკი, უნ თეატრისთვის  
გერას მიშველიდა, ზედაც არ უმომხედავდი. უშენოთ კი მარ-  
ტო მე იმ ლამეს ჩვენ აქტიორებს ვერას გავამართვინებდი. და  
ამიტომ კერც მე ჩავვიბავდი მაშინდელ ლუკმას. მასთან, ხომ  
ცცი, დღეს ჩვენში როგორი ასალ-გაზდობაა. თუ განდა იმათ  
გამორჩე რასმე, უთუოდ თავი ისრე უნდა აჩვენო, ვითომიც ეპ-  
ტე არის სატანჯველად გამზადებული ხარ. მაშ მე რომ მტკიცეთ

კოდგარიუნ იმავე ასრული, რომლებიც მაშინ შენიან მივიღე, ხომ შენ დღეში არ გამაცებინებდა შენ ვინაბიას!

— რასაკეთებულია, არ გაგაცებინებდი. მაგრამ შენ ისეთი კერძი მესა არა სარ. მე მაშინვე შეგატუქ, რომ უფრო ასკი-ლივით შოქნილი სარ. საითაც უნდა, გადაგხის კაცი. როდესაც ა წახე, რომ ადგილთ დაგიყოლი ასაზოგადო საქმისთვის», მერე დაკრწმუნდი, რომ შენ ძვირ-იტასი რამა ხარ და უკედა-უკეში განისაზღვრი, ამარობ გასინირახე არ დამემაღა შეცოვის ჩემი ნამდვილი სახე, რომ შენც ჩემებრ გევლო შეცუნაში.

— მაშ ასაზოგადო საქმე სიცოდური იურ?

— არა, სიცოდური კი სრულებითაც არ არის, მაგრამ მაინც გაზეაჯებული იურ. უოველივე გამოუკლელა ახალგაზრდა ის-რე იყიდებას, უთუოდ თავდაჯერული კაცი ახვილობი უნდა ღირსა, ჰქენიაური არა ეტეობოდეს რაო. შეც, რაც შე-მეძღვა, კსოვდოლობდი, რომ გვედა სულელისთვის ასე შეჩენებისა თავი; მაგრამ შენისთვის გონიერ გაცს სრულებით სსვა-ივრავ გეპურობი. ასედა შენ უნდა განჩენა, რა ნაირ მაღალებს ვთამაშობ იქა, სადაც ეშმავიდით ეჭავრებათ «საზოგადო საქმე». უმელგნ მე თავიასთ უკეთეს შეკობრათ მიეურკებს. ახალგაზ-რდობის თავისი უკეთესი წიგრი და თითქმის მოთავე კურსივარ, მკელება მე პირველ ადგილს მაღლებენ თავიასთ შორის, შენისთვისა ნამდვილი მცცნიერები სოდი თავიასთ მასწავლებელთა-განს ჭედავ ნ ჩემში.

— მერე სად მიიღე მაგრო სისრულე ან რათ გინდა?

— რაც კაცს გამოადგება, როგორ არ შიძლებს! შე უკელგანა ვსარგებლობ შეგითა. მიღებით ხომ შირველათ მეცა და ჩემმა უკონება ტოლებმა მივიღეთ ქალაქების სელში.

— რა ვქნა... მეც თათხა გადაიგითხნა ქალაქ მას საწერე-  
ვ

ბი, მაგრამ იქნიდან მე კერ გაჭმოვიტანე მაგეთი ბრძნებული შესეცვა ცხოვრებაზე! უთხარი განცვილებით.

— შე კი არ ვიცი, რომ იმის ნაწერებიდან შეს გერა მაცხოვან აუცის კერ გამოიტანდი! ქალაქაშები იმდენს წერითა და სიტუაცით გრი აგეთებან, რასაც თვითონ კერძო ცხოვრებით.

— მერე ხომ სულ დოპროლიუსტეს და იმისთანა იდეალისტებს მისდევს და იქნიდან როგორ გამოიყვანე შენ მაგეთი. ახალი სწავლა?

— დოპროლიუსტებით იმასა სწადინ ახალგაზღვის თვალების აბმა, თორებ თითონ იდეალისტებზე გაცილებით შორს წავიდა — ის ისეთია, როგორსაც შეს ქლა მე მიუკრებ. ჩვინა ახალი თაობის სულიერი მამა, ბიძა ქალაქაშება. მაგრამ, ხომ გაგრიცნია, ისა სჯობს მაშედისათვის, რაც შეიძლება და მაშა...“

— მაშ იმან თქვენსუდ გავიდესა საკუთრის ცხოვრებით იქნია?

— აკი გეუბნები. იმან თავის მშენირი ღიასებით, თავის გასატაცებული ღიაპარაკით და უფრო გაბედული შრებით შეგვაუგანა თავი. დღეს ჩვენ მისი სულიერი შეიძლებით გართ. მას დიდი გავლენა ჰქონდა უკეთაზე. იმას უნდოდა აგრეთვე ვადო ეპიზოდებისათვის, უნდოდა იდეალისტებიც თავის მსარეზე გადაეჭირა, გიღეც მიაწია იქამდის, რომ საქმე აღწევ უკლებოდა, მაგრამ აქ აჩქარდა: რა კი ნახა, რომ უკედანი იმისკენ ღიატებიან, უცებ მოსტეულდა და სმა-მაღლა, უკედან გასატონაო, გამოაცხადა თავისი ნამდვილი შესედულებია იდეალისტებზე. ეგონა, რომ დრო მოსტეულიას ასეთი. თამაში ღაპარაკისა, ეგონა, რომ ესლა უკედან მომზადებულია მისი აუცისის მისაღებათ, გასაზიარებლათ. ის კი არა თუ მოსტეულდა საშინლათ. ახალგაზღობის

დაუწეო მას შემდეგ საზოგადო უურება, ლანძლვა, თხევა. ამ მას აქეთ ისევ მიშართა ღობროლისტოვს — თითქმის სულ ამ საშინელი ღდეალისტის სიტყვებს იპარავს და სწერს, რომ თავისათ კამიალებასს, მაგრამ ესრა ვიდას მოატევებს. იმ ღლესაც მქონდა მასთან ლაპარაკი. საწყალი საშინელათ დაქანცულია ამ ძალა-უნებური შრომით, — სომ იცი, რა მნელია, ისა სწერო და იქადაგო, რაც საშინელათ გულს! — დაიჭირა, შორდა-ლა და მაინც გერას გახდა. ეხლა მოუგონია, რომ მაჟე შოკევ-დები ქვეყნის ამოტელა დარღოთაო. ის კი არა თუ ცედლურის რა მოჰქმდავს! ამას იმიტომა შვრება, რომ ეტება ამით მაინც შეატალოს. თავი ახალ-გაზღვლისას და შეიირგოს იგი ჩსევა.

— საწყალი! მაში ძალის გასტონებია საქმე?

— არა, ძალიასაც არა, მაგრამ მაინც, რაც უნდა იყოს, ადვი-ლი არ არის. ის ღვეუს შირჩევს, რომ ანამც არ ავნ ქარდე ახალ-გაზღვლისასთან. აქ ღიღი სიფრთხილე უნდა კაცსათ. სემი სახელი, მთელი ჩემი მაღალი ტეპუტაცია მწერლისა. იმინ გამიფუტება და ჩამიშესმა, რომ ჩემი აშრი არ დატებულე და სა-შეუხერთ გადგიარეო. ნეტიგი მიც კატერვის აღგიღი გიმლეო, მშეირი აღარ დავთებუნ სიბერეში, მაგრამ კინ მომცემსო. ამიტომ მირჩევდა იგი — თუ არ გინდა რომ შენც ასე გატე-წარდეს დღენი, ახალ-გაზღვლისასთან მეღდისავით გული უნდა იქ-ნიოდა, რო წყალ-შეა უნდა ჩადგეო.

— ეხლა კი მესმის, რასაც უნდებია ჩვენი საშობლოსთვი შენისთანა შვილები. ვიცი, ჭენ საქმეს კარგა წაიკან.

— როგორცა მცედავ, მმარჯან! მე გეცდები, რომ ჩვენი სულიერი მაშების შეცდომილებანი აღარ გავიმეორო. მაშინ ზარ-ბაზანიც გეღარ მოშერევა.

— რა თქმა უნდა, თუ კი გაფრთხილები, უკელაცერი კარგა წაე.

— და ამიტომ ქსრა კი უნდა გაჟავოთ წვენი მუხადევი, და მე შეუდგი ჩემ წმინდა მოვალეობას — «საზოგადო საქმე» მექანის, თხოვდობს ჩემ თავსა.

— ღმერთმა სილი მოგძართოს. მაგრამ კერ მეტყვი — ესდა რა საქმეზე მიღიხარ?

— სომ ცი, რომ მე საქმე არ მაკლია, ბარე ღფამდის ტვირთი მაძევს მხრებზე წვენი სამშობლოსი.

— მარალით კარ?

— უკალას კურ ჩამოუითვლი და დღეს კი მე ტიპოგრაფიაზე და ერთ წიგნზე უნდა ვეცდო.

— რაში მდგომარეობს შენი მეცნიერება, მეოქვე?

